




№ 35  
04. 07. 2018 წ.



საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ქალბატონ თეა წულიკიანს

ერთი თვეა საქართველოში მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო პირების მიერ აუიოტაჟი, საქართველოს მთავარი პროკურორის ვაკანტურ ადგილზე კანდიდატურების წამოყენებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ჩვენ არ განვიხილავთ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან ვინ როგორ შეეფერება მთავარი პროკურორის უმაღლეს თანამდებობას, დღევანდელ პირობებში, როცა აშკარად ჩანს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა არაკომპეტენტურობა, ხშირად მათ მიერ მიღებულია საეჭვო გადაწყვეტილებები, ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვინ გახდება საქართველოს მთავარი პროკურორი.

გამომდინარე აღნიშნულიდან ქვეყნის ინტერესებიდან, საქართველოს პენსიონერთა კავშირის გაზგეობამ, რომელიც გამოხატავს შვიდასი ათასზე მეტს ხანდაზმულის ინტერესებს, გადაწყვიტა ქვეყნის მთავარი პროკურორის ვაკანტურ ადგილზე წამოაყენოს, საქართველოს პენსიონერთა კავშირის იურიდიულ და ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი ბატონი თეიმურაზ თნიანი, რომელმაც თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დამთავრების თანავე დაიწყო შრომითი საქმიანობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1965 წლიდან მან მუშაობა დაიწყო საქართველოს პროკურატურის სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობებზე: იყო სტაჟიორი, გამომძიებელი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებელი, რაიონის პროკურორი, თბილისის ტრანსპორტის პროკურორის თანაშემწე, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილე, ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის პროკურორის მოადგილე.

2004 წელს იგი დამნაშავე პროკურორის ადგიშვილის მიერ, რომელიც ამჟამად მებნაშია, თბილისის პროკუროროს მოადგილის თანამდებობიდან გადაყვანილი იქნა თბილისის დიდუბის რაიონული პროკურორის უფროს თანაშემწედ, საიდანაც იგი გაუშვეს პენსიაში.

პენსიაში გასვლის შემდეგ იგი ეწეოდა საადვოკატო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა თბილისის საბანკო საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს სისხლის სამართალში.

გავლილი აქვს პეტერბურგში გამომძიებელთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში ოთხ თვიანი კურსები. ქ. მოსკოვში პროკურატურის, გზათა სამინისტროს ერთბლივი სწავლების კურსები.

2003 წელს წარმატებით ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

საქართველოში წესრიგისა და კანონების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმის ნაყოფიერი მუშაობისთვის, იგი 2002 წლის 23 მაისს დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით.

1991 წელს 28 თებერვალს თეიმურაზ ონიანს მიენიჭა იუსტიციის უფროსი მრჩეველის წოდება.

2009 წლის 3 ივლისს შეყვანილი იქნა საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციის კომისიის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში.

თეიმურაზ ონიანი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი 2012 წლის 3 ნოემბერს დაარსებული არასამთავრო ორგანიზაციის „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“, არჩეული იქნა ვიცეპრეზიდენტად.

ბატონ თეიმურაზ ონიანმა საქართველოს პროკურატურის სისტემაში, ყველა თანამდებობაზე, სადაც მან იმუშავა, მოიპოვა დამსახურებული პატივისცემა, ავტორიტეტი, თავისი პროფესიონალიზმის კომპეტენტურობის, ობიექტურობის, თანამშრომლების მოუსყიდველობის, ზოგადად ადამიანების სიყვარულის გამო. ყოველივე ეს ცნობილია არამარტო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

თეიმურაზ ონიანი საქართველოს პენსიონერთა კავშირში მუშაობს იურიდიულ და ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერად 2018 წლის 12 ივნისიდან მოკლე დროში

მან დაიმსახურა თანამშრომლებში დიდი პატივისცემა, სიყვარული, უანგარო გვერდში დგომისთვის, სამართლის საკითხებში, პროფესიული დახმარებისთვის.

სწორედ ამგვარი პროფესიული და ადამიანური ღირებულებების გამო, ჩვენ სრული ნდობით წარმოვადგენთ მის კანდიდატურას და გთხოვთ მხარდაჭერას.

პატივისცემით,

საქართველოს პენსიონერთა კავშირის  
გამგეობის თავმჯდომარე



/ა.კობლატაძე/

ქთბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული  
პროკურორის ყოფილი უფროსი თანაშემწის  
თეიმურაზ პრიბოლის ამ ონიანის

ნ ა მ ს ა ხ უ რ ო ბ ი ს ნ უ ს ხ ა

თეიმურაზ გრიგოლის ძე ონიანი დაიბადა 1940 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისში. იგი 1959 წელს შევიდა და 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კურსი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

თეიმურაზ ონიანმა საქართველოს პროკურატურაში შრომითი საქმიანობა დაიწყო 1965 წლის 13 სექტემბერს.

1. 13.09.1965–28.07.1966 – ქთბილისის ოქტომბრის რაიონული პროკურატურის სტაჟიორი.
2. 15.04.1967–08.10.1970 – ქთბილისის 26 კომისრის რაიონული პროკურატურის გამომძიებელი.
3. 18.12.1973–28.12.1978 – საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.
4. 28.12.1978–19.11.1980 – ხაშურის რაიონული პროკურორი.
5. 05.01.1981–30.12.1983 – თბილისის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწე.
6. 30.12.1983–04.09.1986 – თბილისის სატრანსპორტო პროკურორის უფროსი თანაშემწე.
7. 04.09.1986–23.08.1989 – კავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწე.
8. 23.08.1989–23.04.1990 – კავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის პროკურორი.
9. 23.04.1990–19.12.1990 – კავკასიის სატრანსპორტო პროკურორის უფროსი თანაშემწე.

10. 19.12.1990–28.02.1991 –კავკასიის სატრანსპორტო პროკურორის პირველი მოადგილე.

11. 02.07.1992–12.08.1993 –ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე – ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

12. 12.08.1993–26.01.2004 –ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე.

13. 26.01.2004–28.07.2004 –ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურორის უფროსი თანამშრომელი.

1991 წლის 28 თებერვალს თეიმურაზ ონიანს მიენიჭა იუსტიციის უფროსი მრჩეველის წოდება.

თამარ კერესელიძე

საკადრო უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის პროკურორი

“14” სექტემბერი, 2007 წ.

